შპს „იგრიკა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

შპს „იგრიკა“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

სრული შემოსავლებისა ანგარიშგება..... 3

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 4

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....5

ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობის შესახებ.....6

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები და შენიშვნებ.....7-22

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2020	2019 კორექტირებული	2019	კორექტირების ეფექტი
შემოსავლები	3	8617041	12511765	12511765	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-7344228	-10623370	-10625063	-1693
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (დანადგარების იჯარა)		30000	7500	7500	
სახელმწიფო კომპენსაცია კოვიდ 19		661			
სხვა შემოსავალი		15441			
უსასყიდლო მიწოდება					
სხვა შემოსავალი			540		-540
შრომის ანაზღაურების ხარჯი	4	-13771	-14453	-14367	86
ცვეთის ხარჯი		-71293	-46745	-47102	-357
საპროცენტო ხარჯი		-44543	-46014	-46014	-1
სხვა საოპერაციო ხარჯი	5	-63478	-153369	-143250	
მოგება დაბეგვრამდე		**1125830**	**1635854**	**1643469**	**-2504**
მოგების გადასახადი		-278508	-59688	-59688	
პერიოდის მოგება/ზარალი		**847322**	**1576166**	**1583781**	
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/ზარალი	6	-116228	8171	-1007	
სხვა სრული შემოსავალი		-			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**731094**	**1584337**	**1582774**	

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-19	კორექტირების ეფექტი
მიმდინარე აქტივები			**კორექტირებული**		
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	92703	165086	164769	-317
სავაჭრო მოთხოვნები	8	1471090	2429103	2428215	-888
გადახდილი ავანსები		166561	162966	154500	-8466
მარაგები	9	217417	68421	68421	0
სხვა მიმდინარე აქტივები		9079	9044	17392	8348
სულ მიმდინარე აქტივები		**1956850**	**2834620**	**2833297**	**-1323**
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	10	770657	840164	839806	-358
სულ გრძელვადიანი აქტივები		**770657**	**840164**	**839806**	**-358**
სულ აქტივები		**2727507**	**3674784**	**3673103**	**-1681**
ვალდებულებები					
მიმდინარე ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	11	19659	4162	4185	23
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		540	705	705	0
საგადასახადო ვალდებულებები		44867	88183	45076	-43107
მიღებული ავანსები		358	116008	116008	0
ვალდებულება საწარმოს პერსონალის მიმართ		117	82		-82
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	75306	63597	63596	-1
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**140848**	**272736**	**229570**	**-43166**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		500760	466334	466334	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**500760**	**466334**	**466334**	0
სულ ვალდებულებები		**641608**	**739070**	**695904**	-43166
კაპიტალი				**1642465**	1642465
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2085899	2935714	**1334734**	-1600980
სულ საკუთარი კაპიტალი		**2085899**	**2935714**	**2977199**	**41485**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**2727507**	**3674784**	**3673103**	**-1681**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერი.

დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	2020	2019 კორექტირებული	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	7030537.68	7712635.45	7712635
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-4029209.52	-5509356.86	-5391575
გადახდილი შრომის ანაზღაურება	-11735	-11300.48	-10613
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	-1398689.32	-1453663.68	-1489982
სხვა გაწეულიხარჯები (ბანკის საკომისიო, კომუნალურები)	-49855.18	-62745.3	-9180.27
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1541048.66**	**675569.13**	**811285**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-181518	-290745
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**0**	**-181518**	**-290745**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის დაფარვა	-70046.12	-56667.67	-56668
გადახდილი პროცენტები	-44543.15	-46013.5	-46014
გაცემული დივიდენდი	-1499300	-321320	-321320
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**-1613889.27**	**-424001.17**	**-424002**
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	**-72,841**	**70,050**	**96,538**
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	457.31	9781.58	-11161
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	**165,086**	**85254**	**79392**
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	**92,703**	**165,086**	**164769**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერი.

დირექტორი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის		**1705719**	**-**	**1705719**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	**1644025.23**	-	**1644025.23**
ოფშორის ავანსის მოგების გადასახადი		**-31401**		**-31401**
დივიდენდის გატანა	-	**-382629.09**	**-**	**-382629.09**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის		**2935714.14**		**2935714.14**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	**1009602.29**	-	**1009602.29**
ოფშორის ავანსის მოგების გადასახადი		**-2698.26**		**-2698.26**
დივიდენდის გატანა	-	**-1856718.26**	**-**	**-1856718.26**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის		**2085899.91**		**2085899.91**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერი.

დირექტორი

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იგრიკა” შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 2015 წლის 27 მარტს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 402012237. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ხორცით, თევზით, პურ ფუნთუშეულით და სხვა მზა საკვები პროდუქტებით. რეალიზაციას ძირითადად ახორციელებს საქართველოში, თუმცა მიმდინარე წელს აქვს განხორციელებული ექპორტი უზბეკეთში, აგრეთვე საქართველოსთან ერთად შაქონლის შეძენას ახორციელემს უცხოეთში. იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი დ.გივიშვილის ქ.N3, ნუცუბიძის ფერდობი, ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზირი 9 ბ.7.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორი არის:

- ლია რუბანოვი (01030002257) - 100.00%;

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამადებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებს, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

<u>ახალი ფასს-ების მიღება</u>

ვინაიდან კომპანია 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს 2017 წლისათვის მოქმედი რედაქციით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფასს-ში შეტანილი ცვლილებები და ახალი ფასს-ების მიღება , რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წელს და ძალაში შევა 2018 წელს, ზეგვალენას ვერ მოახდენს მომავალი 3 საანგარიშო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი“)

ფუნქციონირებადი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე, კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსრისი მიხედვით. . კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2,8677	3,2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3,2766	4,0233

ფინანსური ინსტრუმენტები

<u>თავდაპირველი შეფასება</u> ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
სხვა საწარმოზე გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით, მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.
<u>აღიარების შემდგომი შეფასება</u> ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალო ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება თვითღირებულების გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალების რეზერვების გამოყენებით შემცირებით.

<u>აქტივების თვითღირებულება</u> გაიანგარიშებაა აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხით
<u>რეალური ღირებულება</u> ფასდება თანხით, რომლითავ შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.
<u>ამორტიზებული ღირებულება</u> - თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღაირებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით ,
მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.
<u>ეფექტური საპროცენტო განაკვეთი</u> - განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან.
- მხარეს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- როდესაც მოსალოდნელია, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი;
- კომპანია დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;
- ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია.

გაუფასურების კუთხით ერთობლივი წესით შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებზე მიღებული ზარალის ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ზარალის ისტორიული მონაცემების კორექტირება ხდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე არსებული პირობების გავლენა, რომელთაც მანამდე გავლენა არ მოუხდენიათ ზარალის ისტორიულ მონაცემებზე, და ასევე არ იქნას გათვალისწინებული გამოცდილების საფუძველზე დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. . სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების შესწორება ხდება რეგულარულად, მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით .

გაუფასურების შემდგომ პერიოდში ადგილი ექნება აქტივის გაუფასურების ზარალის თანხის შემცირდებას რაც დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე
- არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის.

კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში,

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება , რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის შედეგად მყიდველებისაგან მისაღები თანხები. აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საეჭვო ვალების რეზერვი.

მოვალეების უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო ზარალის შეფასება არსებითად განსხვავებული არ იქნება შემდგომში რეალური მოცულობისგან.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდის, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-მაგებობეი	20
მანქანა დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურების ინდიკატორს, რათა უზრუნველყოს, რომ აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახოს ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხა. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.

საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებაზე.. გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

კომმპენსაცია, რომელიც საწარმოს მისაღები აქვს მესამე მხარეებისაგან, დაზიანების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, მოგება/ზარალში ამ მოთხოვნის წარმოშობის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას კომპანია ახდენს უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

საწარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავსმის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონელის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინსაწარ შეთანხმებულ სარგებელს. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალის აღიარება ხდება მაშინ, როცა მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი, კერძოდ თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურეობაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), ამონაგების თანხა განისაზღვრება მიღებული საქონლისა და მოსახურების რეალური ღირებულების მიხედვით. კორექტირება ხდება გადაცემული ფულის ან ფულადი სახსრების ექვივალენტის თანხით. თუ შეუძლებელია მიღებული საქონლის და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგების თანხის ფასდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემდგომ კორექტირდება მიღებული ფულის ან ფულადის სახსრების ექვივალენტების თანხის მიხედვით.

სხვა შემოსულობა

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელსც და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელის არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებლია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების ბსაფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის ღიარების მოთხივნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარა

კომპანია ახდენს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსური და საოპერაციო იჯარად.

ფინანსური იჯარის დროს უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარდება როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულებასა და გაანგარიშებულ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების განაწილება პირობით საიჯარო გადასახდელებად და დაუფარავ ვალდებულებად ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

საოპერაციო იჯარის დროს საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ხარჯის უმეტესი ნაწილი მონაწილეობას იღებს მარაგების თვითღირებულების ფორმირებაში.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგელობის დროს.

ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შევებულება არ ნაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

სესხის სარგებლობასთნ დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა გლობალურ მოვლენას, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზე, კერძოდ, დაიწყო მსოფლიო პანდემია, რომელიც ახალი კორონოვირუის კოვიდ-19 სახელით არის ცნობილი. კოვიდის გავლენა მნიშვნელოვანი იყო კომპანიისათვისაც. საქმიანობის უწყვეტობა-მიუხედავად კოვიდ 19-ის გავლენისა, რითაც საფრთხე ექმნება საწარმოს ფუნქციონირებას, მენეჯმენტის შეფასებით კომპანია განაგრძნობს უწყვეტ ფუნქციონირებას, რისთვისაც ტარდება მთელი რიგი ღონისზიებები, კერძოდ ;

- ბაზრის შესწავლისა და პოტენციური კლიენტების მოძიების მიზნით, ახორციელებს მარკეტინგულ კვლევებს;.
- ახდენს საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციას;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ხარჯების ზრდის თავიდა აცილების მიზნით, უცხოურ ვალუტაში მოლაპარაკებები საქართველოს რეზიდენტებთან, დადებულ გარიგებების ცვლილებასთან დაკავშირებით,

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

3. ამონაგები

ამონაგები 2020 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019 კოერექტირებული	31.12.2019
საქონლის მიწოდებიდან	8617041	12511765	12511765
(დანადგარების იჯარა)	30000	7500	7500
სახელმწიფო კომპენსაცია კოვიდ 19	661		
საჯარიმო სანქციით მიღებული შემოსავალი)	15441		
(უსასყიდლოდ მოწოდებილი საქონელი)		1039	
სხვა შემოსავალი		540	
სულშემოსავლები:	**8663143**	**12520844**	**12519265**

4. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი 2020 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019 კორექტირებული	2019
თანამშრომლების შრომის ანაზღაურება	13771	14453	14367
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	**13771**	**14453**	**14367**

5. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა ხარჯები 2020 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019 კორექტირებული	2019
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	3573.11	48916.13	48915
კომუნალური ხარჯები	114.86	297	297

საპენსიო გადასახდელი			80.82
საოფისე ინვენტარის ხარჯი		95	95
ქონების გადასახადი	8054.1	7880.72	7881
საკონსულტაციო ხარჯი	317.41	250	250
საქონლის ინსპექტირება ლაბორატორიული შემოწმება		8241.2	8241
კომუნიკაციის ხარჯი	652.04	744	744
დაზღვევის ხარჯი	664.4	858.64	859
ბანკის საკომისიო	49872.54	28855.6	8226
არასაოპერაციო ზარალი	230	57231.05	67661
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**63478**	**153369**	**143250**

6. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება/ზარალი

უცხოური ვალუტის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება-ზარალი 2020 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	**2019**
საკურსო სხვაობა, შემოსულობა	7449.26	22481.16
საკურსო სხვაობა ხარჯი	-123677.38	-14310.13
სულ	-116228.12	8171.03

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2020	**31.12.2019** კორექტირებული	**31.12.2019**
ნაღდი ფული სალაროში	**6.14**	**6.14**	**6**
ეროვნულივალუტარეზიდენტბანკში	**92696**	**165080**	**165070**

ვალდებულება საწარმოს პერსონალის მიმართ			-307
სულფულადი სახსრები და ექვივალენტები:	92703	165086	164769

8 სავაჭრო მოთხოვნები

მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31.12.2020	31.12.2019 კორექტირებული	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	1471090	2429103	2428215
სულსავაჭრო მოთხოვნები:	1471090	2429103	2428215

9 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31.12.2020	31.12.2019 კორექტირებული	31.12.2019
საქონელი	217417	68421	68421
სულსასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	217417	68421	68421

10 ძირითადი საშუალებები

მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	მანქანა დანადგარები	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	0	809230	0	4400	813630
შეძენა	142349	7113		4707	154169
ჩამოწერა					0
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	142349	816343	0	9107	967799

ცვეთა	4290	121632		1713	**127635**
საწყისი 31.12.2019	**138059**	**694711**	**0**	**7394**	**840164**
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	**142349**	**816343**	**0**	**9107**	**967799**
შეძენა			**1786**		**1786**
ჩამოწერა					
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	**142349**	**816343**	**1786**	**9107**	**969585**
ცვეთა	32761	162449	184	3534	**198928**
ჩამოწერა					
საწყისი 31.12.2020	**109588**	**653894**	**1601**	**5573**	**770657**
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	**138059**	**694711**	**0**	**7394**	**840164**
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	**109588**	**653894**	**1601**	**5573**	**770657**

11 კრედიტორული დავალიანება

მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31.12.2020	**31.12.2019** კორექტირებული	**31.12.2019**
სავაჭრო ვალდებულებები	**19659**	**4162**	**156385**
სულ კრედიტორული დავალიანება	**19659**	**4162**	**156385**

12 სასეხო ვალდებულებები

მიღებული სესხები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	პერიოდი				გრძელვადიანი	
გრძელვადიანი სესხი	დაწყების თარიღი	ვადა	ვალუტა	განაკვეთი	31.12.2020	31.12.2019
სს "პროკრედიტ ბანკი" No75.3269	26.12.2016წ	120 თვე	USD	0.075	500760	466334
სესხის მოკლევადიანი ნაწილი შესაბამის პერიოდში					75306	63597
სულ					576066	529931

13. ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი
- შესთავაზოს მეწილეებს ადეკვატური დივიდენდი, სერვისების ღირეულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით.

14. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიამ წლის განმავლობაში, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, კომპანიის მიმდენარე აქტივები შეადგენს 2 727 507 ლარს, მენეჯმენტის შეფასებით კომპანია მომავალში განაგრძობს უწყვეტ ფუნქციონირებას, რაზეც მიუთითებს შემდეგი გარემოებები:

- კომპანია იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მომავალ პერიოდში გაუფასურების თავიდან აცილების მიზნით ,ეფექტურად მართოს ფინანსური ინსტრუმენტები.
- შეიმუშაოს მომსახურების გაყიდვების ახალი სტრატეგია .
- მეტი ყურადღება დაუთმოს სავალუტო რისკის მართვას

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 18 მაისამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ საყურადღებო არამაკორექტირებელ მოვლენას - მოხდა ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი გაუფასურება აშშ დოლარისა და ევროს მიმართ. კერძოდ, 2021 წლის 18 მაისის მდგომარეობით ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა: 1 USD=3.3979 ლარი; 1 EUR=4.1325 ლარი. საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, გარდა ქვემოთ მოცემული Covid-19-ის პანდემიია გავრცელებისა, ადგილი არ ჰქონია.

ახალი კორონავირუსი (Covid-19), რომელმაც გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და რამდენიმე კვირაში მიიღო გლობალური პანდემიის სახე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მსოფლიოს ახალი ეკონომიკური და საზოგადოებრივი კრიზისის დაწყების ძირითადი მიზეზია, რამაც ფაქტიურად ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ასეთ ქვეყნებს შორის არის საქართველოც და გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სუსტია და არ არის სტაბილური, არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას უახლოეს პერიოდში. საქართველოში პანდემიასთან დაკავშირებით გამოცხადდა გარკვეული შეზღუდვები, რამაც ხელი შეუშალა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მომწოდებლები დროულად ვერ ახერხებდნენ საქონლის და პროდუქციის მოწოდებას; თუმცა კომპანიის ხემძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარეობს შემდეგი ფიმამსური რიკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსაად კომპანიაში არის რიკები რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას. ამ შენიშვნაში აღწერილია მიზნები, პოლიტიკა და პროცესები რიკების არმოსაფხვრელად და მათი შეფასების მეთოდი. უფრო დაწვრილებით ინფორმაცია ამ რისკებთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელსაც იყენებს კომპანია და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების რისკი, შემდეგია:

- ფული და ფულის ექვივალენტი
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის შემუშავებაზე.

ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, მენეჯმენტმა მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

მენეჯმენტის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა , რომელიც შეამცირებს რისკის მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საკრედიტო რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება).

კომპანიამ შეაფასა რა ფინანსური ინსტრუმენტები, წინა საანგარიშო პერიოდში შექმნა საეჭვო მოთხოვნების რეზერვი, ამიტომაც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საკრედიტო კონტროლისა და მასთან დაკავშირებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კომპანია ბალანსის

შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის მნიშვნელოვან დანაკარგების მეორე მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობასთნ დაკავშირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანიას აქვს ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის კურსი არის მნიშვნელოვანი კომპანიის ფინანსური რისკების დადგენაში.

სავალუტო რისკები, სავალუტო რისკის მგრძნობელობა

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანია დაუცველია უპირატესი უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის გავლენისაგან მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ვინაიდან კომპანაის გრზელვადიანი ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ლარში აქვს აღებული, ვალუტის მერყეობა ძირითად ზეგავლენას არ ახდენს კომპანიისს მომგებიანობაზე .

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რიკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანიის ფუნქციონირება რეაბილიტაციის რეჟიმში, რის გამოც კომპანიას აკრძალული აქვს საოპერაციო საქმიანობისათვის დამატებითი ფულადი სახსრები მოზიდვა. ამასთანავე რეინვესტირებული მოგების მიმართვა რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით წინა პერიოდების ვალდებულებების დასაფარად, კიდევ უფრო ართულებს ზემოთ აღნიშნულს. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი, რათა შეძლოს მომავალში რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით გრძელვადიანი ვალდებულებების დაფარვა
- შეიმუშაოს გაყიდვების და მომსახურების გაყიდვების ახალი სტრატეგია
  რეაბილიტაციის პროცესიდან და ფინანსური გეგმიდან გამომდინარე კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად.